



Accountants &
business advisers

საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიქიურითიზ"

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიჭიურთიზ"
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიჭიურითიზ"
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
ფასს-ის შესაბამისად მომზადებული

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საბროკერო კომპანია სს „ლიბერთი სიჭიურითიზ“-ის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

თეიმურაზ ირემაშვილი

დირექტორი

საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიჭიურითიზ"



ეკატერინე გურული

მთავარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიჭიურითიზ"

თარიღი: 18 ივლისი, 2016

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

საბროკერო კომპანია სს „ლიბერთი სიქიურიტიზ“-ის მენეჯმენტს

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

ჩვენ ჩავატარეთ საბროკერო კომპანია სს „ლიბერთი სიქიურიტიზ“-ის („ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმეკარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურებს, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია ჯგუფის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი, აგრეთვე, მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე, მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. გვეჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შესაბამისაა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

შპს "ფი-ქეი-ეფ ჯორჯია"

თარიღი: 18 ივლისი, 2016

Address: 85, Paliashvili., 0162, Tbilisi, Georgia

Tel: +995 32 2 24 30 30 | 2 24 30 31

Fax: +995 32 2 93 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkfgeorgia.com

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

PKF Georgia LLC



საბროკერო კომპანია სს "ლიბერტი სიჭიურითიზ"
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	255,336	234,607
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (კლიენტები)	15	1,636,493	73,347
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	8	-	823,755
საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით (კლიენტები)	15	586,707	-
გაცემული სესხები	9	1,923,467	1,206,601
ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში	10	892,293	368,323
ძირითადი საშუალებები	11	9,199	5,389
გადავადებული საგადასახადო აქტივი	12	-	3,342
სხვა აქტივები	13	78,708	26,603
სულ აქტივები		5,382,203	2,741,967
პაღდებულებები			
მიღებული სესხები	14	1,983,088	1,304,950
კლიენტების ანგარიშები	15	2,223,200	73,347
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	12	1,554	848
სხვა ვალდებულებები		72,724	11,450
სულ პაღდებულებები		4,280,566	1,390,595
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	16	70,995	429,274
საემისიო კაპიტალი		77,317	-
აკუმულირებული სხვა სრული შემოსულობები/(სრული ზარალი)		(80,409)	3,179
გაუნაწილებელი მოგება		1,023,246	908,988
არამაკონტროლებელი წილი		10,488	9,931
სულ კაპიტალი		1,101,637	1,351,372
სულ პაღდებულებები და კაპიტალი		5,382,203	2,741,967

თეიმურაზ ირემაშვილი
დირექტორი


თარიღი: 18 ივლისი, 2016



ეკატერინე გურული
მთავარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია სს "ლიბერტი სიქიურითიზ"
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება
2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2015 წელი	2014 წელი
საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	17	126,009	105,588
საპროცენტო შემოსავალი		701,907	380,108
სხვა შემოსავალი		211	16,890
სულ შემოსავალი		828,127	502,586
გაცემული ხელფასი და სხვა სარგებელი		(196,102)	(194,613)
ადმინისტრაციული ხარჯები		(92,023)	(39,403)
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები		(45,075)	(19,377)
საპროცენტო ხარჯი		(173,790)	(66,838)
გაცემული სესხის გაუფასურება		(93,280)	(22,283)
კურსთაშორის სხვაობის შედეგი		(26,935)	(38,482)
სულ ხარჯები		(627,205)	(380,996)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		200,922	121,590
მოგების გადასახადი	12	(86,107)	(20,657)
საანგარიშგებო წლის მოგება / (ზარალი)		114,815	100,933
კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება		(83,588)	(873)
სულ სრული შემოსავალი		31,227	100,060
საანგარიშგებო წლის მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:			
სათაო კომპანიის მფლობელები		114,257	91,402
არამაკონტროლებელი წილი		558	9,531
სულ სრული შემოსავალი განკუთვნილი:			
სათაო კომპანიის მფლობელები		114,257	90,529
არამაკონტროლებელი წილი		558	9,531



თეიმურაზ ირემაშვილი
დირექტორი

(Handwritten signature)

ეკატერინე გურული
მთავარი ბუღალტერი

თარიღი: 18 ივლისი, 2016

საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიჭიურთიშ"
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში
პირდაპირი მეთოდი

	2015 წელი	2014 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაცემული თამასუქებიდან მიღებული თანხები	398,617	1,149,577
მიღებულ თამასუქებზე გადახდილი თანხები	(520,194)	(139,349)
კლიენტების ნეტო თანხები მიღებული/(გადახდილი)	2,862,739	148,435
დეპოზიტებზე განთავსებული თანხები	(589,206)	(240,000)
ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში	(828,945)	(203,665)
მიღებული სესხები	-	105,000
გადახდილი სესხები	(59,000)	(46,000)
გაცემული სესხები	(1,977,129)	(526,580)
კლიენტების მიერ დაბრუნებული სესხის ძირი	2,639,605	201,196
მიღებული/(გადახდილი) პროცენტები	205,485	(266,583)
გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებელი	(497,124)	(206,747)
გადახდილი გადასახადები	(36,289)	(3,241)
სხვა გადახდილი თანხები	(68,635)	(29,282)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,529,924	(57,239)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხები	(7,190)	(5,020)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(7,190)	(5,020)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის გაზრდიდან მიღებული შემოსავალი	50	-
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთა შენატანები კაპიტალში	-	350
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	50	350
საკუროს სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	61,091	(1,286)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ცვლილება	1,583,875	(63,195)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	307,954	371,149
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსათვის	1,891,829	307,954

თეიმურაზ ირემაშვილი
დირექტორი

თარიღი: 18 ივლისი, 2016



ეკატერინე გურული
მთავარი ბუღალტერი

საბროკერო კომპანია სს "ლიბერტი სიჭიურითიზ"
 კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 თანხები მოცემულია ლარში

სათაო კომპანიის მფლობელთა კუთვნილი

	საწესდებო / სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	აკუმულირებული სხვა სრული შემოსულობები	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ კაპიტალი
31/12/2013	429,274	-	4,052	817,586	1,250,912	350	1,251,262
შვილობილის მიერ აქციების გამოშვება	-	-	-	-	-	50	50
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-	(873)	-	(873)	-	(873)
პერიოდის შედეგი	-	-	-	91,402	91,402	9,531	100,933
31/12/2014	429,274	-	3,179	908,988	1,341,441	9,931	1,351,372
შპს-ს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შედეგად შპს-ს საწესდებო კაპიტალის ნომინალურ და საემისიო კაპიტალად გაყოფა	(329,274)	329,274	-	-	-	-	-
საკუთარი აქციების გამოსყიდვა (იხ. შენიშვნა 16)	(29,005)	(251,957)	-	-	(280,962)	-	(280,962)
კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება	-	-	(83,588)	-	(83,588)	-	(83,588)
პერიოდის შედეგი	-	-	-	114,257	114,257	558	114,815
31/12/2015	70,995	77,317	-	80,409	1,023,245	10,489	1,101,637

თეიმურაზ ირემაშვილი
 დირექტორი

თარიღი: 18 ივლისი, 2016



ეკატერინე გურული
 მთავარი ბუღალტერი

1 ზოგადი ინფორმაცია

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს საბროკერო კომპანია სს „ლიბერთი სიქიურიტიზ“-ის („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანია სს „ლიბერთი ფაინენსი“-ს (ერთად მოხსენებული როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ მონაცემებს.

საბროკერო კომპანია სს ლიბერთი სიქიურიტიზ დარეგისტრირდა 2009 წლის 2 სექტემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და 2015 წლის 31 ივლისს გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, №74. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულია, როგორც საბროკერო კომპანია. კომპანია ასევე წარმოადგენს საქართველოს საფონდო ბირჟის წევრს. კომპანიის მფლობელები 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

	2015 წელი	2014 წელი
სს ჰერიტიჯ ჰოლდინგზი (საქართველო)	100%	-
ვლადიმერ გურგენიძე	-	80%
სტარჯენ ჰოლდინგს ლიმიტედი	-	20%
	100%	100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კერძო და ინსტიტუციონალური კლიენტებისთვის საბროკერო, აქტივების მართვის და კასტდიანური მომსახურების გაწევა ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მიმართულებით. აქტივების მართვის მომსახურების ფარგლებში კომპანია საკუთარ კლიენტებს სთავაზობს 3 სახის პროდუქტს/მომართულებას: 1. eLoan აქტივების მართვა; 2. მაღალშემოსავლიანი ინდივიდუალური ანგარიშის სტრატეგიის (HY IAS) აქტივების მართვა; 3. სინდიკაციის აქტივების მართვა. eLoan აქტივების მართვა გულისხმობს, კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრების აკუმულაციას ერთიან პორტფელში, საიდანაც ხორციელდება მოკლევადიანი სესხების გაცემა რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. აღნიშნული პლატფორმა, თანმხლები საოპერაციო მხარდაჭერის სისტემით, წარმოადგენს სს იკაპიტალის (ს/ნ: 404981338) საკუთრებას, რომელთანაც კომპანიას გაფორმებული აქვს აღნიშნული პლატფორმით სარგებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. HY IAS აქტივების მართვა გულისხმობს კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრების აკუმულაციას ერთიან პორტფელში, საიდანაც შემდგომ ხორციელდება ამ სახსრების ინვესტირება სხვადასხვა (მეტწილად საქართველოს) ფიქსირებული შემოსავლების მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებში. სინდიკაციის აქტივების მართვა გულისხმობს, ინვესტორის მიერ ლიბერთი სიქიურიტიზისთვის გადაცემული აქტივების მართვას, განკარგვას და ინვესტორის სახელით, ხელშეკრულების საფუძველზე ბანკთან ერთად სინდიკირებით კრედიტის გაცემას. ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/კ 203828304), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ლიბერთი სიქიურიტიზთან სინდიკირებით გასცემს კრედიტს.

შვილობილ საწარმოებში მონაწილეობა:

	31/12/2015	31/12/2014
სს ლიბერთი ფაინენსი	61.90%	61.90%
შპს სმარტ ბიზნეს სოლუშენს	-	100.00%

სს „ლიბერთი ფაინენსი“ (ს/ნ: 405018813) რეგისტრირებულია 2013 წლის 19 ნოემბერს და მისი ძირითადი საქმიანობა არის ფულადი სახსრების მოზიდვა თამასუქების რეალიზაციის გზით და შემდგომ ინვესტიციების განხორციელება სხვადასხვა ფიქსირებული შემოსავლების მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებში.

შპს „სმარტ ბიზნეს სოლუშენს“-ი (ს/ნ: 405075396) რეგისტრირებულია 2014 წლის 12 დეკემბერს და მისი ძირითადი საქმიანობა არის კვების პროდუქტებისა და კვების მომსახურების მიწოდება სხვადასხვა კლიენტებისათვის, მათ შორის ძირითადად სახელმწიფო დაწესებულებებისთვის. 2015 წლის 26 მარტს გასხვისდა შპს „ლიბერთი სიქიურიტიზ“-ის საკუთრებაში არსებული შპს „სმარტ ბიზნეს სოლუშენს“-ის 100%-იანი წილი (აგრეთვე იხილეთ 22-ე განმარტებითი შენიშვნა). 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ კომპანიის ნეტო აქტივები შეადგენდა 1,000 ლარს.

საპროგრამო კომპანია სს "ლიბერთი სიძიურითიზ"

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
თანხები მოცემულია ლარში

აღნიშნული აქტივი 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის კლასიფიცირებული გასაყიდად არსებულ აქტივად, რადგან ამ დროისთვის ჯგუფს გადაწყვეტილი არ ჰქონდა გასხვისება და არ არსებობდა გასხვისების კონკრეტული დეტალური გეგმა.

2 წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფი საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

3 საანგარიშგებო ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

4 კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებულია შვილობილი საწარმოები, რომლებიც წარმოადგენენ ისეთ კომპანიებს, რომელშიც „ჯგუფს“ ნახევარზე მეტი ხმის უფლება აქვს ან სხვა მხრივ გააჩნია შესაძლებლობა მართოს მათი ფინანსური ან საოპერაციო პოლიტიკა ისე, რომ სარგებელი მიიღოს მათი საქმიანობიდან. ჯგუფის მიერ სხვა საწარმოს კონტროლის შეფასების დროს გაითვალისწინება ხმის უფლების არსებობა და მისი მოსალოდნელი შედეგები. შვილობილი საწარმოს კონსოლიდირება ხდება იმ თარიღიდან, როცა კონტროლი გადადის ჯგუფზე (შეძენის თარიღი) და დეკონსოლიდირდება მაშინ, როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

როდესაც ხდება შვილობილი საწარმოს შეძენა, საწარმოთა გაერთიანებაში მონაწილე აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები შეფასებულია შეძენის თარიღისათვის შვილობილ საწარმოში მათი მიმდინარე ღირებულებით და არ გაითვალისწინება შვილობილ საწარმოში არაკონტროლირებადი წილი. ჯგუფის არაკონტროლირებადი წილი შვილობილ კომპანიაში განისაზღვრება შვილობილ კომპანიაში ჯგუფის კუთვნილი წილიდან აქტივების პროპორციულად. გუდვილი შეფასებულია შეძენისას გადახდილი თანხის, არაკონტროლირებადი წილის და შეძენის წინ შეძენილ კომპანიაში ფლობილი წილის ღირებულებების ჯამიდან შეძენილი კომპანიის ნეტო აქტივების ღირებულების (რომელიც შეფასებულია შეძენილი კომპანიისათვის შეძენის თარიღში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების საფუძველზე) გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი სხვაობა („უარყოფითი გუდვილი“) აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი თავიდან შეაფასებს მიღებული აქტივების, აღიარებული ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების სისრულეს და გადაამოწმებს მათი შეფასების საიმედოობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების ანალოგიური მუხლები დაჯამებულია ერთმანეთთან და შემდეგ შვილობილ კომპანიებში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ელიმინირებულია შვილობილი კომპანიების კაპიტალში სათაო საწარმოს წილის საპირისპიროდ. სათაო კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იმავე მეთოდებით და იმავე პერიოდისთვისაა მომზადებული, როგორც შვილობილი კომპანიებისა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს მსგავს ტრანზაქციებსა და სხვა მოვლენებთან მიმართებაში გამოყენებულია ერთგვაროვანი პოლიტიკა.

5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

5.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია.

საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით. კლიენტების ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს ჯგუფის მიერ საინვესტიციო მიზნებისთვის ფლობილ თანხებს, რომლებიც გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე ბანკში განთავსებული სამ თვეზე მეტი დაფარვის თარიღის მქონე დეპოზიტები გამოკლებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლიდან და ნაჩვენებია ცალკე ამორტიზირებული ღირებულებით.

5.2 გაცემული სესხები

ჯგუფის მიერ გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გაცემული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო ღირებულებით, სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სესხები ითვლება გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს თავდაპირველი გარიგების მიხედვით კუთვნილი თანხების სრულად მიღებას.

5.3 ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში

ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში თავდაპირველად აღიარდება და შემდგომში წარედგინება ინვესტიციის რეალური ღირებულებით. ჩვეულებრივ, კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციის რეალური ღირებულება აღიარების მომენტში მისი შეძენის ფასის ტოლია. თუკი შეძენის ფასი განსხვავდება შეძენის მომენტში ინვესტიციის რეალური ღირებულებისაგან მაშინ ეს განსხვავება აღიარდება შემოსავლად ან ზარალად. თავდაპირველი აღიარების შემდეგ კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება აღიარდება სხვა სრულ შემოსულობებში, თუკი ეს ინვესტიცია არ არის განკუთვნილი სავაჭროდ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეალური ღირებულების ცვლილებები აღიარდება მოგება-ზარალში.

5.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება ჯგუფის მფლობელობაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწვევის პერიოდის მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ჯგუფის ძირითადი საშუალებები მოიცავს მხოლოდ კომპიუტერულ ტექნიკას, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაც 5 წელს შეადგენს.

5.5 მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი შეადგენს 15%-ს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება ანგარიშგების მომზადების მომენტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების და შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გამოყენებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალები გადაედდება 5 წლის ვადით.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად არის აღიარებული საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე. გადავადებულ მოგების გადასახადში არსებული ცვლილებები აღირიცხება „მოგების გადასახადის (ხარჯი) / სარგებელი“-ს მუხლში, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

5.6 სხვა აქტივები

ჯგუფის სხვა აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში წარედგინება ამორტიზირებული თანხით.

5.7 მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სესხის მიღებასთან დაკავშირებული ყველა პირდაპირი დანახარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პერიოდის საპროცენტო ხარჯის შეფარდება სასესხო ვალდებულების საბალანსო ღირებულებასთან იყოს უცვლელი სესხის სრულად დაფარვამდე. "საპროცენტო ხარჯი" ამ კონტექსტში მოიცავს სესხის დამტკიცებისა და გატანის საკომისიოებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე ვალდებულების არსებობის პერიოდში წარმოქმნილ ნებისმიერ ხარჯს.

5.8 კლიენტების ანგარიშები

კლიენტების თანხების ინვესტიციები ფინანსურ ინსტრუმენტებში და კლიენტებისადმი არსებული ვალდებულებები იქვეთება ერთმანეთის საპირისპიროდ და ბალანსში წარედგინება ნეტო თანხით.

კლიენტების თანხებით შეძენილი თამასუქები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ ტრანზაქციის ფასის ტოლია, და შემდგომში ბალანსში წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კლიენტების თანხების ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ ტრანზაქციის ფასის ტოლია, და შემდგომში ბალანსში წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

კლიენტებისადმი არსებული ვალდებულებები თავდაპირველად წარმოიშვება კლიენტების მიერ ჯგუფისთვის სამართავად ფულადი სახსრების გადაცემისას, შემდგომში იზრდება კლიენტების თანხების ინვესტირების შედეგად ამ ინვესტიციებზე მიღებული სარგებლით, რაც გადასახდელია კლიენტებისათვის და მცირდება კლიენტებისათვის გადახდილი თანხებით.

5.9 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

5.10 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროგრამო საქმიანობიდან მიღებული საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი ჩვეულებრივ აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით, მაშინ როცა მომსახურება მიიღება ან გაწეულ იქნება.

5.11 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღისათვის უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო:

ვალუტა	31/12/2015	31/12/2014
აშშ დოლარი (USD)	2.3949	1.8636
ევრო (EUR)	2.6169	2.2656
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	3.5492	2.8932
პოლონური ზლოტი (PLN)	0.6171	0.5258

6 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობას სჭირდება მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გამოყენება ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების განსაზღვრისათვის, რომელთა ღირებულება სხვა მხრივ ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება. გამოყენებული შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ხელმძღვანელობის წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები მუდმივი გადახედვის და ხელახლა განხილვის საგანია. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება შეფასების გადახედვა. შემდეგ ტექსტში მოცემულია ის ძირითადი დაშვებები, რომლებიც ეხება მომავალ მოვლენებს და აღწერილია ის წყაროები, რომელსაც ეყრდნობა მენეჯმენტი ამ შეფასებების გაკეთებისას და რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ არსებითი ცვლილებები გამოიწვიონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულებების თანხებში.

6.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას აფასებს მენეჯმენტი. შეფასება გამომდინარეობს მსგავს აქტივებზე წარსული გამოცდილებიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას გათვალისწინება აქტივის მოსალოდნელი გამოყენება, მიახლოებითი ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო სადაც აქტივი გამოიყენება. აღნიშნულ შეფასებებში ან მდგომარეობებში ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ნორმებში ცვლილებები.

6.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის, შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული საგადასახადო ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ განსხვავებულად იქნას დარიცხული გადასახადები, რაც გამოიწვევს თავდაპირველად აღიარებული თანხების ცვლილებას.

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
ნაღდი ფული საღარიშში	7.1	-	112,010
ფული ბანკში	7.1	255,336	122,597
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		255,336	234,607

საპროგრამო კომპანია სს "ლიბერთი სიძიურითიზ"

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
7.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით		
ქართული ლარი (GEL)	39,182	224,184
ა.შ.შ. დოლარი (USD)	216,154	10,392
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	-	31
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	255,336	234,607

8 საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით

	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
საბანკო დეპოზიტები ვალუტების მიხედვით		
ქართული ლარი (GEL)	-	823,755
სულ საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	-	823,755

9 გაცემული სესხები

	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
1 წელზე ნაკლები	716,792	410,236
1-დან 2 წლამდე	1,322,239	818,648
სესხების გაუფასურების რეზერვი	(115,564)	(22,283)
სულ	1,923,467	1,206,601

ჯგუფს სესხები გაცემული აქვს როგორც ფიზიკურ ასევე იურიდიულ პირებზე. სესხები გაცემულია ქართულ ლარში და აშშ დოლარში. წლიური საპროცენტო განაკვეთი გაცემულ სესხებზე არის 10%-120% და მათი დაფარვის ვადა განისაზღვრება ერთი თვიდან სამ წლამდე. გაცემული სესხები ძირითადად არაუზრუნველყოფილი სესხებია, თუმცა ძალიან უმნიშვნელო ნაწილი უზრუნველყოფილია უძრავი და მოძრავი ქონებით. სესხების ჩაშლა ვალუტებისა და ვადიანობის მიხედვით იხილეთ მე-18 განმარტებითი შენიშვნაში.

10 ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში

ფასიანი ქაღალდები	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
სს ლიბერთი ბანკის სუბორდინირებული სესხი	884,804	-
სს საქართველოს ბანკი (BGEO)	6,889	6,006
სს საქართველოს საფონდო ბირჟა (GSE)	600	600
WS Finanz GmbH, Berlin (Saving Global)	-	361,717
სულ გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები	892,293	368,323

2015 წლის 25 ივნისს სს "ლიბერთი სექურიტიზმა" დადო სუბორდინირებული სესხის სამი ხელშეკრულება სს "ლიბერთი ბანკთან". სესხების ჯამური ღირებულება შეადგენს 368,600 აშშ დოლარს. სამივე სესხის ხელშეკრულება მსგავსია. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 13%-ს, ხოლო სესხების მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღი არის 2025 წლის 26 ივნისი. ხელშეკრულებების მიხედვით აღნიშნულ სესხებს სხვა არასუბორდინირებულ სესხებთან და დეპოზიტებთან შედარებით აქვთ გადახდის (დაფარვის) უფრო დაბალი პრიორიტეტები. კონტრაქტის პირობების მიხედვით ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული სესხების დაფარვა ბანკის მიერ მოხდება მხოლოდ ყველა დეპოზიტარისა და სხვა კრედიტორების ვალების სრულად გადახდის (დაფარვის) შემდეგ. ამასთან, აღნიშნული სუბორდინირებული სესხები არ არის დაზღვეული (უზრუნველყოფილი). აღნიშნული პირობებიდან გამომდინარე ჯგუფი ამ სუბორდინირებულ სესხებს ბალანსზე ასახავს როგორც ინვესტიციას სხვა კომპანიის კაპიტალში.

საბროკმრო კომპანია სს "ლიბერთი სიქიპრიტიზ"

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

11 ძირითადი საშუალებები

2014 წელი

	კომპიუტერები	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	1,784	1,784
დამატებები	4,808	4,808
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	6,592	6,592
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	(140)	(140)
პერიოდის ცვეთა	(1,063)	(1,063)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,203)	(1,203)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	1,644	1,644
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	5,389	5,389

2015 წელი

	კომპიუტერები	სულ
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	6,592	6,592
დამატებები	5,678	5,678
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	12,270	12,270
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	(1,203)	(1,203)
პერიოდის ცვეთა	(1,868)	(1,868)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	(3,071)	(3,071)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	5,389	5,389
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	9,199	9,199

12 მოგების გადასახადი

	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
გადავადებული მოგების გადასახადის კომპონენტები		
ძირითადი საშუალებები	(1,380)	(808)
გაცემული სესხები	-	3,342
სხვა აქტივები	(174)	(40)
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	(1,554)	2,494

წლებანდელი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გადახედა სესხების გაუფასურების რეზერვიდან წარმოქმნილი სხვაობის ტიპს და გამოძინარე ჯგუფის წარსული გამოცდილებიდან და მომავლის ხედვიდან გადაწყდა, რომ საეჭვო მოთხოვნებიდან წარმოქმნილი სხვაობა საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის უფრო მუდმივი სხვაობაა ვიდრე დროებითი და რომ ამ სხვაობიდან შესაძლო წარმოქმნილი საგადასახადო აქტივის რეალიზების პერსპექტივა ძალიან შორეულია. ამდენად წლებანდელ ანგარიშგებაში საეჭვო ვალდებულების რეზერვიდან წარმოქმნილ სხვაობაზე გადავადებული საგადასახადო აქტივი აღარ აღიარდა. ეს ცვლილება ასახულია, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში, ანუ პროსპექტიულად.

საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიპირიტიზ"

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

13 სსპა აქტივები

	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
სავაჭრო მოთხოვნები	27,030	7,096
აქანსად გადახდილი გადასახადები	38,711	18,036
სხვა	12,967	1,471
სულ სხვა აქტივები	78,708	26,603

14 მიღებული სესხები

	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
1 წელზე ნაკლები	270,778	335,878
1-დან 3 წლამდე	1,712,311	969,072
სულ მიღებული სესხები	1,983,089	1,304,950

ჯგუფს სესხები მიღებული აქვს როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისგან. სესხები მიღებულია ქართულ ლარში და აშშ დოლარში. წლიური საპროცენტო განაკვეთი მიღებულ სესხებზე არის 8%-20% და მათი დაფარვის ვადა განისაზღვრება ერთიდან სამ წლამდე. მიღებული სესხები არ არის უზრუნველყოფილი. სესხების ჩაშლა ვალუტებისა და ვადიანობის მიხედვით იხილეთ მე-18 განმარტებითი შენიშვნაში.

15 კლიენტების ანგარიშები

კლიენტების ფულადი სახსრები ვალუტების მიხედვით	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
ქართული ლარი (GEL)	937,635	66,364
ა.შ.შ. დოლარი (USD)	697,715	6,983
ევრო (EUR)	880	-
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი (GBP)	263	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (კლიენტები)	1,636,493	73,347

კლიენტების საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით ვალუტების მიხედვით	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
ა.შ.შ. დოლარი (USD)	586,707	-
სულ კლიენტების საბანკო დეპოზიტები 90 დღეზე მეტი ვადით	586,707	-

მოთხოვნები კლიენტების ანგარიშებიდან		
მოთხოვნები არარეზიდენტ საბროკეროებთან	8,604	3,752
მოთხოვნები რეზიდენტ ბანკებთან, საბროკეროებთან და სხვა ორგანიზაციებთან	461,885	-
მოთხოვნები "HY IAS" აქტივების მართვის ანგარიშიდან	901,434	1,366,264
მოთხოვნები "eLoan" კლიენტების აქტივების მართვის ანგარიშიდან	1,054,183	1,555,062
მოთხოვნები სინდიკაციის აქტივების მართვის ანგარიშიდან	-	-
სულ აქტივები	2,426,106	2,925,078

ვალდებულებები კლიენტების ანგარიშებიდან		
კლიენტებთან წარმოქმნილი ვალდებულებები	(1,605,849)	(37,606)
ვალდებულება "HY IAS" აქტივების მართვის ანგარიშიდან	(1,891,379)	(1,458,433)
ვალდებულება "eLoan" კლიენტების აქტივების მართვის ანგარიშიდან	(1,134,017)	(1,502,386)
ვალდებულება სინდიკაციის აქტივების მართვის ანგარიშიდან	(18,061)	-
სულ ვალდებულებები	(4,649,306)	(2,998,425)

საბროკერო კომპანია სს "ლიბერთი სიქიურითიზ"

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

16 კაპიტალი

საბროკერო კომპანიებს, საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალის მოცულობასთან და არ არის დაკავშირებული კაპიტალის ან აქტივების სტრუქტურასთან. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით კაპიტალი უნდა შეადგენდეს 500,000 ლარს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელთა მთლიანი კაპიტალი შეადგენს 1,101,637 ლარს, შესაბამისად კაპიტალის მინიმალური ოდენობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ჯგუფს მისი არსებობის მანძილზე არასდროს გაუცია დივიდენდი მისი პარტნიორებისათვის, ზოგადი პოლიტიკა კი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ჯგუფის საგარეო დივიდენდების რენესტირება ჯგუფის კაპიტალში თუ პარტნიორთა კრების მიერ არ იქნა მიღებული სხვაგვარი გადაწყვეტილება.

2015 წლის 31 ივლისს კომპანიამ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გადაკეთდა სააქციო საზოგადოებად. ამ ცვლილებისას შპს-ს საწესდებო კაპიტალი ტრანსფორმირდა სააქციო კაპიტალად და მაშინდელი 429,274 ლარის კაპიტალი გადანაწილდა, როგორც 100,000 ლარის ნომინალური კაპიტალი (10,000,000 გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია, თითო 0.01 ლარის ღირებულებით) და 329,274 ლარის საემისიო კაპიტალი.

2015 წლის 16 სექტემბერს სს "ლიბერთი სიქიურითიზ"-მა გამოიყიდა 2,900,514 საკუთარი აქცია (ნომინალური ღირებულება 29,005 ლარი) კომპანიის საკუთრებაში არსებული კომპანია "სეივინგ გლობალში (რეგისტრირებული მისამართი 14ა იმანუელკრიშის ქ. 14ა, ბერლინი, გერმანია. სკ HRB 146726 B) კუთვნილი 514 აქციის სანაცვლოდ, რაც გადაეცა "პერიტიჯ ჰოლდინგზ"-ს (სს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ის 100%-ის მფლობელს). შესაბამისად, ამ ოპერაციის შემდეგ სს "ლიბერთი სიქიურითიზ"-ის გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობამ შეადგინა 7,099,486 ცალი. რადგანაც საკუთარი აქციების სანაცვლოდ კომპანიის მიერ გადაცემული აქტივის (კომპანია "სეივინგ გლობალში კუთვნილი 514 აქცია) ღირებულება აღემატებოდა გადაცემის მომენტისათვის კომპანიის საემისიო კაპიტალს, ამდენად ამ ოპერაციის შემდეგ კომპანიის საემისიო კაპიტალი ნულს გაუტოლდა, კაპიტალში დარჩა მხოლოდ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების ნომინალური ღირებულება, ხოლო უარყოფითი სხვაობა საემისიო კაპიტალსა და გადაცემული აქტივის ღირებულებას შორის აისახა მოგება-ზარალში, როგორც ზარალი კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციების (კომპანია "სეივინგ გლობალში კუთვნილი 514 აქცია) რეალიზაციიდან.

17 საბროკერო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2015	31 დეკემბერი, 2014
ფასიანი ქაღალდების ყიდვა გაყიდვიდან მიღებული საკომისიო	20,538	11,749
აქტივების შენახვის / ფლობის საკომისიო	4,524	3,600
საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული საკომისიო	7,500	41,609
შემოსავალი ვალუტის ყიდვა - გაყიდვიდან	8,641	5,255
შემოსავალი აქტივების მართვის მომსახურებიდან	83,587	34,547
აქციების ვაჭრობით მიღებული მოგება / (ზარალი)	-	3,180
სხვა შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	1,219	5,649
	126,009	105,588

18 რისკების მართვა

სს "ლიბერთი სიქიურითიზის" კლიენტების აქტივების მართვის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა სახის რისკების მართვას, მათ გამოვლენას, შეფასებას და კონტროლს. აქტივების მართვის საქმიანობისთვის დამახასიათებელია ისეთი ძირითადი რისკები, როგორიცაა საკრედიტო რისკი, სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

18.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჯგუფისთვის არის საბანკო ანგარიშებზე მისი ფულადი სახსრების, გაცემული სესხების და სხვა მისაღები თანხების ნაშთების ჯამის ტოლი, ანუ ეს არის ის თანხები, რაც სხვა მხარეებისგან არის მისაღები ბალანსის თარიღისთვის. თუმცა, ფულადი სახსრები განთავსებულია ისეთ ბანკებში, სადაც ფაქტიურად არ არსებობს იმის რისკი, რომ ჯგუფი მათგან ამ ფულს პირველივე მოთხოვნისას ვერ მიიღებს და ამდენად ერთადერთი მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც საკრედიტო რისკს წარმოქმნის არის გაცემული სესხები.

გაცემული სესხების საკრედიტო რისკების სამართავად ჯგუფი იყენებს სხვადასხვა მეთოდებს:

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე სესხი გაიცემა მხოლოდ და მხოლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ბაზრის ჯეროვანი შეფასების და თავად დასაფინანსებლად შერჩეული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სიღრმისეული ფინანსური ანალიზის საფუძველზე. თავდაპირველად ხდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ბაზრის კვლევა და ანალიზი კომპანიის ანალიტიკური ჯგუფის მეშვეობით, რომლის შემდეგაც შეირჩევა რამოდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლებზეც ჯგუფის საინვესტიციო კომიტეტი გადაწყვეტს სესხის გაცემის საკითხს. თავად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შერჩევისთვის კი ჯგუფის საინვესტიციო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთ მნიშვნელოვან ფინანსურ მაჩვენებლებს, როგორიცაა კაპიტალის მოცულობა, ნასესხები სახსრების ოდენობა, ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა და სხვა. შეფასების პროცესში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებებს, მასშტაბებს, მის ისტორიას და ისტორიულად ზრდის მაჩვენებლებს.

ტენდერების შესასრულებლად სესხები გაიცემა მხოლოდ და მხოლოდ ჯგუფის საინვესტიციო კომიტეტის მიერ დაწესებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა მნიშვნელობა ენიჭება მსესხებლის ტენდერებში მონაწილეობის ისტორიას, რამდენად ხშირად მონაწილეობს ტენდერებში და მათი შესრულებების ხარისხს. თუ მსესხებელი აკმაყოფილებს მიცემულ პირობას, ხდება მისი სიღრმისეული შესწავლა როგორც ფინანსურ დონეზე, ისე საქმიანობის კუთხით. მოითხოვება ყველანაირი ამონაწერი კომპანიის დავალიანებების შესახებ, უკანასკნელი 2-3 წლის ფინანსური მონაცემები და უკვე შესრულებული ტენდერების შესრულების დამადასტურებელი საბუთები. ამასთან, მსგავსი სესხები გაიცემა მხოლოდ თავდებობით, რომელიც თავის მხრივ უნდა აკმაყოფილებდეს ჯგუფის საინვესტიციო კომიტეტის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. შედარებით დიდი მოცულობის თანხების გაცემის შემთხვევაში კი დამატებით მოითხოვება უზრუნველყოფის საგნის წარმოდგენა.

18.2 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ზრდის საკუროს სხვაობის რისკს, რაც არის რისკი იმისა, რომ სავალუტო კურსების ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. შემდეგი ცხრილი აჩვენებს ჯგუფის მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ჩამლას იმ ვალუტების მიხედვით, რა ვალუტაშიც ეს აქტივები და ვალდებულებები არის დენომინირებული.

(ცხრილი იხილეთ შემდეგ გვერდზე)

საპროექტო კომპანია სს "ლიბერთი სიქიზირითიზ"

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

31/12/2014	GEL	USD	EUR	GBP	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	224,184	10,392	-	31	234,607
საბანკო დეპოზიტები 90	823,755	-	-	-	823,755
დღეზე მეტი ვადით გაცემული სესხები	339,046	867,555	-	-	1,206,601
სხვა მოთხოვნები	18,036	-	-	-	18,036
სულ	1,405,021	877,947	-	31	2,282,999
მიღებული სესხები	72,158	1,232,792	-	-	1,304,950
სხვა ვალდებულებები	10,295	-	-	-	10,295
სულ	82,453	1,232,792	-	-	1,315,245
სავალუტო პოზიცია	1,322,568	(354,845)	-	31	967,754

31/12/2015	GEL	USD	EUR	GBP	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	39,182	216,154	-	-	255,336
საბანკო დეპოზიტები 90	-	-	-	-	-
დღეზე მეტი ვადით გაცემული სესხები	170,276	1,753,192	-	-	1,923,468
სხვა მოთხოვნები	38,711	-	-	-	38,711
სულ	248,169	1,969,346	-	-	2,217,515
მიღებული სესხები	278,677	1,704,411	-	-	1,983,088
სხვა ვალდებულებები	70,488	-	-	-	70,488
სულ	349,165	1,704,411	-	-	2,053,576
სავალუტო პოზიცია	(100,996)	264,935	-	-	163,939

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ჯგუფი ძირითადად იმ სავალუტო რისკის წინაშე დგას, რომელიც წარმოიშობა აშშ დოლარისა და ევროს ლართან გაცვლითი კურსის ცვლილებით. ჯგუფის მენეჯმენტი, ითვალისწინებს რა ქვეყანაში არსებულ პერიოდულ სავალუტო რყევებს, თანხების ინვესტირებას ახდენს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, იმის გათვალისწინებით რომ ეროვნული ვალუტის საგრძნობმა გაუფასურებამაც კი არ განაპირობოს ინვესტირებული თანხის ღირებულების შემცირება, რითაც სავალუტო რისკებისაგან დაცული არიან, როგორც ჯგუფი, ასევე მისი კლიენტები.

18.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთში ცვლილებები უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე. ვინაიდან ჯგუფის თანხები, რომლებიც სესხების სახით გაიცემა, მოზიდულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში და გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებიც არის ფიქსირებული, მათზე არ მოქმედებს საპროცენტო განაკვეთის მერყეობის რისკი.

18.4 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს მტკიცებულება იმისა რომ, რომელიმე აქტივი გაუფასურებულია და დაფარვა მოხდება კონტრაქტით გათვალისწინებული თარიღის შემდეგ, რა შემთხვევაშიც გაითვალისწინება სავარაუდო დაფარვის თარიღი.

საპროგრამო კომპანია სს "ლიბერთი სიქიურიტიზი"

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

თანხები მოცემულია ლარში

31/12/2014	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-ზე მეტი წელი	დაფარვის ვადა უცნობია	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	234,607	-	-	-	234,607
საბანკო დეპოზიტები 90	823,755	-	-	-	823,755
დღეზე მეტი ვადით გაცემული სესხები	400,571	806,030	-	-	1,206,601
სხვა მოთხოვნები	18,036	-	-	-	18,036
სულ	1,476,969	806,030	-	-	2,282,999
მიღებული სესხები	335,878	969,072	-	-	1,304,950
სხვა ვალდებულებები	10,295	-	-	-	10,295
სულ	346,173	969,072	-	-	1,315,245
ლიკვიდურობის სხვაობა	1,130,796	(163,042)	-	-	967,754
აკუმულირებული სხვაობა	1,130,796	967,754	967,754	967,754	
31/12/2015	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5-ზე მეტი წელი	დაფარვის ვადა უცნობია	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	255,336	-	-	-	255,336
საბანკო დეპოზიტები 90	-	-	-	-	-
დღეზე მეტი ვადით გაცემული სესხები	635,242	1,288,226	-	-	1,923,468
სხვა მოთხოვნები	38,711	-	-	-	38,711
სულ	929,289	1,288,226	-	-	2,217,515
მიღებული სესხები	270,778	1,712,311	-	-	1,983,089
სხვა ვალდებულებები	70,488	-	-	-	70,488
სულ	341,266	1,712,311	-	-	2,053,577
ლიკვიდურობის სხვაობა	588,023	(424,085)	-	-	163,938
აკუმულირებული სხვაობა	588,023	163,938	163,938	163,938	

19 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ჯგუფის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

20 დაკავშირებული მხარეები

საქმიანობის ნორმალურ პირობებში ჯგუფს ტრანზაქციები აქვს დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებული მხარეების ნაშთები:

	ფული საბანკო ანგარიშებზე	საბანკო დეპოზიტები	გაცემული სესხები / მიღებული თამასუქები	მიღებული სესხები / გაცემული თამასუქები	გადასახდელი ხელფასები
31/12/2014					
მენეჯმენტი	-	-	-	12,996	-
მფლობელები	-	-	-	-	-
სხვა დაკავშირებული მხარე	28,186	823,755	149,225	59,162	-
სულ	28,186	823,755	149,225	72,158	-

	ფული საბანკო ანგარიშებზე	საბანკო დეპოზიტები	გაცემული სესხები / მიღებული თამასუქები	მიღებული სესხები / გაცემული თამასუქები	გადასახდელი ხელფასები
31/12/2015					
მენეჯმენტი	-	-	-	-	-
მფლობელები	-	-	-	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	1,006,698	191,089	-	-
სულ	-	1,006,698	191,089	-	-

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები:

	მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტები	საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები	გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	დარიცხული ხელფასები
31/12/2014					
მენეჯმენტი	-	-	-	996	163,980
მფლობელები	-	-	-	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	3,666	127,552	164,853	9,899	-
სულ	3,666	127,552	164,853	10,895	163,980

	მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტები	საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები	გაცემულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტები	დარიცხული ხელფასები
31/12/2015					
მენეჯმენტი	-	-	504	-	127,929
მფლობელები	-	-	-	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	123,938	27,211	5,400	-
სულ	-	123,938	27,715	5,400	127,929

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციები მოიცავს ასევე საკუთარი აქციების გამოსყიდვის
ოპერაციას რაც აღწერილია ზევით, მე-16 შენიშვნაში.

21 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები და პირობითი ვალდებულებები

21.1 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები,
რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას. ამავე დროს, აღნიშნული კანონები
განიცდის ხშირ ცვლილებას. ჯგუფის მენეჯმენტის მიერ აღქმული კანონმდებლობის მოთხოვნების ინტერპრეტაცია,
რომელიც გამოიყენება ჯგუფის საქმიანობაში, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული
რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოებმა
უფრო ხისტად დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნის საკუთარი ინტერპრეტაცია. შედეგად, შესაძლებელია ჯგუფს
დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

21.2 სასამართლო დავები

საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი არ არის ჩართული რაიმე ისეთ სასამართლო დავაში რომლის შედეგსაც
შესაძლოა არსებითი უარყოფითი ან დადებითი გავლენა ქონდეს ჯგუფის აქტივების ან ვალდებულებების საბალანსო
ღირებულებებზე ან რაც შესაძლოა მოითხოვდეს პირობითი ვალდებულებების ან რაიმე სახის ანარიცხების შექმნას ან
ინფორმაციის გახსნას ფინანსურ ანგარიშგებაში.

22 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდეგ აღგილი არ ჰქონია რაიმე ისეთ მოვლენას რასაც გავლენა ექნებოდა ამ ფინანსურ
ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ან რაც დამატებით ახსნა-განმარტებით შენიშვნებს მოითხოვდა.